სოფელ ვაყადან სოფელ ტკოცამდე მისასვლელ გზას რეაბილიტაცია უტარდება

08 ივლისი 2022

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფელ ვაყადან სოფელ ტკოცის მიმართულებით გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონიდის დაფინანსებით ხორციელდება, რაზეც 2,5 მილიონ ლარამდეა განსაზღვრული. პროექტის დასრულება ზაფხულის ბოლოსთვის იგეგმება. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი სიმონ გულედანი გაეცნო. მისი თქმით, პროექტის ფარგლებში, ჯამში, 5,6 კმ. საავტომო გზა მოეწყობა და განახლებული ინფრასტრუქტურით 1800 ადგილობრივი მოსახლე ისარგებლებს.